რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის სამართლებრივი სტანდარტები და პრაქტიკა საქართველოში

მარიამ ქრისტესიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ქრისტესიაშვილი, 05.07.2021 წ.

აბსტრაქტი

განსახილველ თემას წარმოადგენს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია, მისი სამართლებრივი სტანდარტებისა და პრაქტიკის შეფასება.

ნაშრომის ემსახურება, უპირველეს ყოვლისა, რწმენისა და რელიგიის თავისუფლების მნიშვნელობის გამოკვეთას, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლის. ამასთან მისი თანასწორობის უფლების ჭრილში განხილვას და იმის ხაზგასმას, რომ ამ უკანასკნელის გარეშე ნებისმიერი უფლება და მათ შორის, რწმენისა და რელიგიის თავისუფლებაც აზრს კარგავს.

განხილულ იქნება ადგილობრივი კანონმდებლობა, იმის დასტურად, რომ დისკრიმინაცია, მათ შორის, რელიგიური კუთვნილების ნიშნით, ცალსახად აკრძალულია და სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. ასევე მოყვანილ იქნება საერთაშორისო აქტები და მისი შესაბამისი მუხლებიც.

ნაშრომის ძირითადს მიზანს კი რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის მთავარი გამომწვევი მიზეზისა და ამავდროულად აღკვეთის ეფექტური გზის გამოკვეთა წარმოადგენს. ძირითად გამომწვევ მიზეზად სახელდება სეკულარიზმის არასათანადო დონე ქვეყანაში, ხოლო გადაჭრის გზად ეფექტური მართლმსაჯულების არსებობა.

ასევე განხილულ იქნება კონკრეტული საქმეები, იმის ნათელსაყოფად, რომ ხშირ შემთხვევაში თავად სახელმწიფო უწყებები (აღმასრულებელი ხელისუფლების რგოლი) ხდებიან დისკრიმინაციული მოპყრობის სუბიექტები.

წინამდებარე ნაშრომი ემსახურება შემდეგი ჯაჭვის გამოკვეთას: სეკულარიზმის არასათანადო დონე სახელმწიფოში ხდება წყარო რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისა, ამის მოგვარების ეფექტური გზა სასამართლო ხელისუფლების, ანუ მართლმსაჯულების ეფექტური ფუნქციონირებაა, რაც თავის მხრის შეამცირებს

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის რიცხვს და ამასთან გაზრდის სეკულარიზმის ხარისხს ქვეყანაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დისკრიმინაცია, რელიგიური კონფესია, უმცირესობა, სეკულარიზმი, მართლმსაჯულება.

Abstract

The following article disscusses the topic of discrimination on the grounds of religion, as well as, assessment of its legal standards and practices.

First of all, the paper serves to highlight the importance of the right to freedom of belief and religion, as the foundations of a democratic state, a long side examining how these rights intereect with the right to equality, and emphasizing that any right without the latter, loses its meaning, including the right to freedom of belief and religion.

This article also discusses local laws to ensure that discrimination, including discrimination on the grounds of religion affiliation is strictly prohibited and is in full compliance with international standarts. Therefore, international acts and related articles are also be cited in this paper.

The main purpose of the article is to identify the main cause of discrimination on the grounds of religion simultaneously offering an effective way of prevention. The main cause of the discriminationis said to be the inadequate level of secularism in the country and the solution – effective judicial system.

Specific cases are also reviewed in the article in order to clarify that in many cases the state agencies (specifically, the executive branch) themselves become culprits of discriminatory treatment.

The presented paper serves to underline the following chain: improper level of secularism in the state becomes the source of discrimination on the grounds of religion . An effective way to resolve this is the successful functioning of the judicial system, which will reduce the number of discrimination on the grounds of religion and will increase the degree of secularism in the country.

Keywords: Discrimination, Religious Confession, Minority, Secularism, Justice.